ხელხის ნომერი 8494-GE

სასესხო ხელშეკრულება

(რეგიონალური განვითარების მესამე პროექტი)

საქართველოსა

და

რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს

შორის

თარიღი 7 აგვისტო, 2015

სასესხო ხელშეკრულება

წინამდებარე ხელშეკრულება, დათარიღებული 7 აგვისტო 2015 წლით, საქართველოსა (შემდგომში "მსესხებელი") და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის (შემდგომში "ბანკი").

მსესხებელი და ბანკი თანხმდებიან შემდეგზე:

I მუხლი - ზოგადი პირობები, განმარტებები

1.01. ზოგადი პირობების (წინამდებარე ხელშეკრულების დანართში მოყვანილი განსაზღვრებების შესაბამისად) წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.02. გარდა იმ შემთხვევებისა თუ კონტექსტი სხვაგვარად არ ითვალისწინებს, წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულს ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც ზოგად პირობებში და წინამდებარე ხელშეკრულების დანართში.

II მუხლი - სესხი

2.01 ბანკი თანახმაა, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების და მოთხოვნების შესაბამისად, მსესხებელს ასესხოს თანხა სამოცი მილიონი აშშ დოლარის (60,000,000 აშშ დოლარი) ოდენობით, რომელიც პერიოდულად კონვერტირებადია ვალუტის კონვერტაციის საშუალებით, წინამდებარე ხელშეკრულების ("სესხი") 2.08 ნაწილის დებულებების შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების ("პროექტი") განრიგი 1-ში აღწერილი პროექტის დაფინანსების ხელშეწყობის მიზნით.

2.02 მსესხებელს შეუძლია სესხის თანხების გამოთხოვა წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 განრიგის IV ნაწილის შესაბამისად.

2.03 მსესხებელის მიერ გადასახდელი ერთჯერადი ადმინისტრირების საკომისიო უნდა შეადგენდეს სესხის თანხის ერთი პროცენტის მეოთხედს (0.25%).

2.04 მსესხებლის მიერ გადასახდელი ვალდებულების გადასახადი უნდა შეადგენდეს წელიწადში აუთვისებელი სესხის თანხის ერთი პროცენტის მეოთხედს (0.25%).

2.05 მსესხებელის მიერ გადასახდელი პროცენტი ყოველი საპროცენტო პერიოდისთვის უნდა შეესაბამებოდეს სესხის ვალუტისთვის განსაზღვრული საბაზისო პროცენტის ექვივალენტს, რომელიც დადგენილია სესხის ვალუტისათვის და რომელსაც დაემატება ცვლადი მარჯა. სესხის ძირითადი თანხის მთლიანი ან ნაწილობრივი ოდენობის კონვერსიის შემთხვევაში, კონვერსიის პერიოდში მსესხებლის მიერ გადასახდელი პროცენტი აღნიშნულ თანხაზე უნდა განისაზღვროს ზოგადი პირობების IV მუხლის დებულებების შესაბამისად. მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, თუ გამოთხოვილი სესხის ბალანსის ნებისმიერი ოდენობა რჩება დაუფარავი ვადის დადგომის მომენტში და ამგვარი გადაუხდელობა გრძელდება ოცდაათი დღის განმავლობაში, მსესხებლის მიერ გადასახადი პროცენტის გამოანგარიშება უნდა მოხდეს ზოგადი პირობების 3.02 (ე) პუნქტის შესაბამისად.

2.06 გადახდის თარიღებია ყოველი წლის 15 ივნისი და 15 დეკემბრი.

2.07 სესხის ძირითადი თანხის დაფარვა განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 განრიგში მოცემული ამორტიზაციის გრაფიკის შესაბამისად.

2.08 (ა) სესხის გონივრული მართვის ხელშესაწყობად, მსესხებელს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს სესხის პირობების ქვემოთ მოცემული ნებისმიერი კონვერსია, კერძოდ: (i) სესხის ძირითადი ოდენობის მთლიანი ან ნაწილობრივი, ათვისებული ან აუთვისებელი თანხის ვალუტის დამტკიცებული ვალუტით შეცვლა; (ii) საპროცენტო განაკვეთის ბაზისის შეცვლა: ა) ათვისებული და დაუფარავი სესხის ძირითადი ოდენობის მთლიანი ან ნაწილობრივი თანხის საბაზისო საპროცენტო ცვალებადი განაკვეთის ფიქსირებული განაკვეთით, ან პირიქით შეცვლა, ან ბ) ათვისებული და დაუფარავი სესხის ძირითადი ოდენობის მთლიანი ან ნაწილობრივი თანხის ცვალებად მარჟაზე და მითითებულ განაკვეთზე დაფუძნებული ცვალებადი განაკვეთის შეცვლა ფიქსირებულ განაკვეთზე და ცვალებად მარჟაზე დაფუძნებული ცვალებადი განაკვეთით, ან პირიქით; ან (გ) ათვისებული და დაუფარავი სესხის ძირითადი ოდენობის მთლიანი თანხის ცვალებად საპროცენტო განაკვეთიდან, რომელიც დაფუძნებულია ცვალებად მარჟაზე ცვალებად საპროცენტო განაკვეთზე, რომელიც დაფუძნებულია ფიქსირებულ მარჟაზე; და (iii) ათვისებული და აუთვისებელი სესხის ძირითადი ოდენობის მთლიანი ან ნაწილობრივი თანხის ცვლად განაკვეთზე ან მითითებულ განაკვეთზე ლიმიტების დაწესება, ცვლად განაკვეთზე ან მითითებულ განაკვეთზე საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვრის ან საპროცენტო განაკვეთის ქვედა ზღვრის დაწესების გზით.

(ბ) წინამდებარე ნაწილის (ა) პარაგრაფის თანახმად საჭირო ნებისმიერი ცვლილება, რომელიც დადასტურებულია ბანკის მიერ, უნდა განისაზღვროს როგორც "კონვერსია", როგორც ეს განმარტებულია ზოგად პირობებში და უნდა ამოქმედდეს ზოგადი პირობების IV ნაწილისა და კონვერსიის სახელმძღვანელოს შესაბამისად.

(გ) საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვრის ან საპროცენტო განაკვეთის ქვედა ზღვრის გადახდის თარიღის დადგომისთანავე, რომლისთვისაც მსესხებელმა მოითხოვა ძირითადი თანხის სესხის თანხებიდან დაფარვა, ბანკმა, მსესხებლის სახელით, სესხის ანგარიშიდან უნდა გამოიტანოს და დაფაროს ის თანხები, რაც საჭიროა ნებისმიერი ძირითადი თანხის დასაფარად, ზოგადი პირობების 4.05 (გ) პუნქტის შესაბამისად, იმ ოდენობამდე, რაც პერიოდულად გამოიყოფა წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 განრიგის IV ნაწილში ჩამოყალიბებული მიზნების განსახორციელებლად.

III მუხლი - პროექტი

3.01. მსესხებელი აღიარებს თავის ვალდებულებებს პროექტის მიზნების მიმართ. ამასთან დაკავშირებით, მსესხებელი პროექტს განახორციელებს პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის მეშვეობით ზოგადი პირობების მე-V მუხლისა და საპროექტო ხელშეკრულების დებულებების თანახმად.

3.02. წინამდებარე ხელშეკრულების 3.01 პუნქტში მოცემული პირობების შეუზღუდავად და გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მსესხებელი და ბანკი სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, მსესხებელი პროექტის განხორციელებას უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 განრიგის დებულებების შესაბამისად.

IV მუხლი - ბანკის დამცავი მექანიზმები

4.01. ხელშეკრულების შეჩერების დამატებით გარემოებას წარმოადგენს: პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის კანონმდებლობის ცვლილება, შეჩერება, გაუქმება, ანულირება ან უარის თქმა, რამაც შესაძლოა მატერიალურად იმოქმედოს და ზიანი მიაყენოს პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის შესაძლებლობებს შეასრულოს საპროექტო ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებები.

4.02. აქსელერაციის დამატებითი პირობა შემდეგში მდგომარეობს: თუ ადგილი ექნება წინამდებარე ხელშეკრულების 4.01 პუნქტში მითითებულ მოვლენას და იგი გაგრძელდება ოთხმოცდაათი (90) დღის მანძილზე მას შემდეგ, რაც ბანკი ამ მოვლენის შესახებ შეატყობინებს მსესხებელს.

V მუხლი - ძალაში შესვლა; შეწყვეტა

5.01. ძალაში შესვლის დამატებით პირობას წარმოადგენს:

(ა) პროექტის განხორციელების უფლებამოსილების შესახებ ხელშეკრულება გაფორმებული მსესხებელს, წარმოდგენილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროთი და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროთი და პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციას შორის.

(ბ) პროექტის განმახორციელებელმა ორგანზიაციამ დაამტკიცა საოპერაციო სახელმძღვანელო ბანკისთვის მისაღები ფორმითა და შინაარსით.

5.02. დამატებითი იურიდიული საფუძველი შემდეგში მდგომარეობს: პროექტის განხორციელების უფლებამოსილების შესახებ ხელშეკრულება დროულად იქნება დადასტურებული ან რატიფიცირებული მსესხებელსა და პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ და მსესხებელი და პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია იურიდიულ ვალდებულებებს აიღებენ ასეთი შეთანხმების პირობების თანახმად.

5.03. ხელშეკრულების ძალაში შესვლის ვადად განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან ასოცი დღე (120) დღე.

VI მუხლი - წარმომადგენლები, მისამართები

6.01. მსესხებლი წარმომადგენელია მსესხებლის ფინანსთა მინისტრი.

6.02. მსესხებლის მისამართია:

ფინანსთა სამინისტრო
გორგასლის ქ. №16
0114, თბილისი,
საქართველო

ფაქსიმილე 995-32-2262423

6.03. ბანკის მისამართია:

International Bank for Reconstruction and Development
1818 H Street, N.W.
Washington, D.C. 20433
United States of America

ტელეგრაფი	ტელექსი:	ფაქსიმილე:
INTBAFRAD	248423 (MCI) or	1-202-477-6391
Washington, D.C.	64145 (MCI)	

შეთანხმდნენ თბილისში, საქართველო, ზემოთ მითითებულ დღესა და წელს.

საქართველო

უფლებამოსილი წარმომადგენელი
სახელი: ნოდარ ხადური
თანამდებობა: ფინანსთა მინისტრი

რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი

უფლებამოსილი წარმომადგენელი
სახელი: იოსებ მელითაური
თანამდებობა: საქართველოში მსოფლიო ბანკის
ოფისის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი